ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ლევან დარახველიძის

2021 წლის ანგარიში

2017 წლის ნოემბრიდან ვარ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველების" თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს ეკონომიკური განვითარების და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი და ქონების მართვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 22 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 111 დადგენილება და 547 განკარგულება. მონაწილეობა მივიღე 21 საკრებულოს სხდომის მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 14 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხი:

მათ შორის:

- თბილისის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების საკითხი. კვარტალური გადანაწილებები საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდირებას, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობასა და აღდგენა-რეკონსტრუქციას, გზების მშენებლობასა და აღდგენას შეეხება.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება“-ის და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-სა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (EBRD) „პროექტის ხელშეკრულების“ გაფორმებასთან დაკავშირებით პროექტი.

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური შეთანხმების ფარგლებში, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული ქონების პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტები.

- დედაქალაქის საკუთრებაში არსებული ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიებები.

- სხვადასხვა მისამართზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, რამდენიმე სამშენებლო კომპანიასთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხები შეთანხმების შესახებ.

- „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით რიგი ღონისძიების განხორციელების თაობაზე გამოყენების საკითხის შეთანხმებაზე საკრებულოს განკარგულების პროექტი.

- თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-14 დადგენილებაში ცვლილება.

- კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე თბილისში მცირე და საშუალო ზომის სარესტორნო ბიზნესისათვის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 19 სხდომას . კომისიის წევრებთან ერთად განვიხილეთ დღის წესრიგით გათვალისწინებული 248 საკითხი.

მათ შორის:

- თბილისის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების საკითხი. კვარტალური გადანაწილებები საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდირებას, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობასა და აღდგენა-რეკონსტრუქციას, გზების მშენებლობასა და აღდგენას შეუწყობს ხელს.

- დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები. 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა წარმოდგენილი პროექტით 34 მილიონ 450 ათას ასი ლარით გაიზარდა. გაზრდილი ბიუჯეტი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოდერნიზებაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, კეთილმოწყობის, გამწვანების და დასუფთავების ღონისძიებებზე, ასევე სოციალური მიმართულების პროგრამებზე გადანაწილდება.

- თბილისის2021წლის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები, რომლითაც თბილისის ბიუჯეტი 1 მილიონი ლარით არაფინანსური აქტივების (მიწის) გაყიდვი დან მიღებული შემოსავლით იზრდება.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი და მონაწილეობა მივიღე ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები" 16 სხდომაში.

ფრაქციის სხდომების ფორმატში განვიხილე საკრებულოს სხდომების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და დედაქალაქის მოსახლეობისთვის პანდემიით გამოწვეული სოციალური პრობლემების გადაჭრის ღონისძიებები.